გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023-2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

მარნეულის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

   მზის ფოტოელექტრული პანელები

2. **თემატიკა:**

   გარემოს დაცვა, ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის ხელშეწყობა

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

   მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა და გმინა კობილნიცა /პოლონეთი/

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
   მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის რეგიონს. მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად, მთლიანად მუნიციპალიტეტში 78 დასახლებაა, 77 სოფელი და 1 ქალაქი, ხოლო მუნიციპალიტეტის 10 დასახლებას მინიჭებული აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი. 2024 წლის მდგომარეობით მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაახლოებით შეადგენს 109 000 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მრავალეთნიკურია, სხვადასხვა ეროვნების–91 %, ქართველი – 9%. (სტატისტიკური მონაცემები მოცემულია დაახლოებით ციფრებში, რადგან ამ ეტაპზე მიმდინარეობს საყოველთაო აღწერა.)

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

შიდა ფაქტორები - მარნეულის მუნიციპალიტეტის საქმიანობა უფრო და უფრო ეფექტიანი და მოქალაქეების საჭიროებების შესაბამისი ხდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობებისა და სხვადასახვა ფაქტორების სწორი ადმინისტრირებით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მზარდია და იძლევა ინოვაციური პროექტების თანამონაწილეობითი თუ სრული დაფინანსების საშუალებას, ხოლო ფონდების მოძიების უნარ–ჩვევა საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფონდების ფინანსური შესაძლებლობები გამოყენებული იქნას მარნეულის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

ინოვაციური მიდგომების განხორციელებაში ხელს გვიწყობს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და ტექნიკური შესაძლებლობები, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ეფექტიანი მენეჯმენტი.

გარეშე ფაქტორები - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

- მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ძალზე ხელსაყრელია სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს და ორი საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო მაგისტრალი, რომლებიც სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან აკავშირებს.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

- **გამოწვევა** - ელექტრო ენერგიის დაზოგვა, ხარჯის შემცირება, ეკო ეფეტურობა.
- **წარსული გამოცდილება** - აღნიშნული საკითხის მიმართულებით ბიუჯეტის ეფექტური/ეკონომიური ხარჯვა, დამატებითი შემოსავალი.
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - აღნიშნული პროექტი არის ენერგოეფექტურობის მიმართულებით პირველი ინოვაციური მუნიციპალური (საპილოტე) პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტში.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
  მარნეულის მუნიციპალიტეტსა და პოლონეთის გმინა კობილნიცას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაგა-ბაღში 42 კვტ სიმძლავრის მზის ფოტოელექტრული პანელები დამონტაჟდა. (აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღი ერთ-ერთი დიდი ბაღია მარნეულის მუნიციპალიტეტში, 12 ჯგუფში სწავლობს 380 აღსაზრდელი). აღნიშნული პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის ინიციატივით და გმინა კობილნიცას ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** 2023 – 2024 წელი;
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** დოკუმენტაცია იხილეთ დანართის სახით.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** პროექტში აქტიურად ჩართულნი იყვნენ, მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმოამადგენლები, N3 საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობა, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები და გმინა კობილნიცის წარმომადგენლები.
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:** ფოტოელექტრული სისტემის ინსტალაცია პოლონეთის მხარის დაკვეთით RP Global-მა განახორციელა, რომელიც განახლებადი ენერგიის სექტორში საერთაშორისო დონის დეველოპერი და ოპერატორია. პროექტის ღირებულებამ 26 680 ევრო შეადგინა და სრულად დაფინანსდა გმინა კობილნიცას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  პოლონეთის რესპუბლიკის, გმინა კობილნიცა;
  მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება;
  RP Global ჯგუფი;
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ კონკრეტულ საბავშვო ბაღს შეუმცირდა ხარჯები. გაუჩნდა დამატებითი შემოსავალი, რაც შესაძლებლობაა თანხების ბიუჯეტში სხვა მიმართულებით გამოყენების და ეფექტურად განკარგვის. ასევე, პროექტი სრულიად ენერგოეფეტურია, რაც პირდაპირ ბმაშია ეკოლოგიურ საკითხებთან. ასევე, პროექტი საპილოტე ვერსიაა და ერთგვარი მოტივაციაა სხვა ორგანიზაციებისთვის (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) რათა ამ მიმართულებით გადადგან ნაბიჯები და მიიღონ სარგებელი. აღსანიშნავია, რომ პროექტმა დაადასტურა ასევე, ინტერმუნიციპალური მეგობრობა, საერთაშორისო მიმართულებით ეფექტური თანამშრომლობა.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:
(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** ენერგოეფეტურობა, ხარჯის შემცირება ბიუჯეტში, ეკო ეფექტურობა.
- ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის **შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) შემცირდა საბავშვო ბაღის ხარჯი აღნიშნული მიმართულებით;
  ბ) სისტემა მუშაობს შაბათ-კვირასაც შესაბამისად გამოიმუშავებს თანხას გაყიდული ენერგიით, რაც დამატებითი შემოსავალია;

გ) ეფექტური მდგრადობის კუთხით მიმდინარეობს აღნიშნული პროექტის ინიციატივების პრაქტიკაში განხორციელება სხვა საბავშვო ბაღებისთვის.

10. საკრებულოს როლი:

- დადებითი; საკრებულოს თავმჯდომარე კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო აღნიშნულ პროეტში და მხარს უჭერდა მას.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ეფექტური მდგრადობის კუთხით მიმდინარეობს აღნიშნული პროექტის ინიციატივების პრაქტიკაში განხორციელება სხვა საბავშვო ბაღებისთვის.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** დავით ჭიკაძე, ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, d.chikadze@gmail.com
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: მამუკა შუბითიძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, 591 919 334; shubitidze85@gmauil.com ; დავით ჭიკაძე, ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, d.chikadze@gmail.com; **ზაურ კერიმოვი** - მარნეულის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი; 593 36 66 61.

  იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

განაცხადის მიღების ვადაა 2024 წლის 1 ოქტომბერი - 20 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 595 577734 nzurabishvili@nala.ge